შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 78/17

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„16“ ივნისი 2017წ

საექსპერტო კონსტრუქციული დასკვნა

ქალაქ თბილისში, სექტორი-ვაკე, ქუჩა ჩიქოვანი, №16ა / ქალაქი თბილისი, ქუჩა ჩიქოვანი, №16ა-ს მიმდებარედ, შ.პ.ს. „ჩიკო“-ს (ID 404894655) საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.14.14.008.029 მდებარე, მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების, ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში მომიჯნავე ნაკვეთებზე მდებარე შენობებზე ზეგავლენის შესახებ.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა საპროექტო ტერიტორიაზე მდებარე მშენებარე ნაგებობას და მის მომიჯნავე შენობებს, მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების, ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში მომიჯნავე ნაკვეთებზე მდებარე შენობებზე ზეგავლენის დასადგენად.

ასევე განხილული იქნა მშენებარე შენობის საპროექტო დოკუმენტაცია.

საპროექტო შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, მცირედ შეჭრილი კუთხით სარდაფის სართულში და კონსოლური ნაშვერებით ზედა (მიწისზედა) სართულებზე, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით ღერძებს შორის 15,40X15,65მ;

მიწის ნაკვეთის რელიეფიდან გამომდინარე შენობის ქვედა ორი სართული ნაწილობრივ მიწაშია (ნახევარსარდაფის ტიპისაა). ნახევარსარდაფის ქვედა, I სართულის სიმაღლე შეადგენს 2,80მ. ნახევარსარდაფის ზედა, II სართულის სიმაღლე შეადგენს 2,70მ. I სრული მიწისზედა სართულის სიმაღლე შეადგენს 3,80მ; დანარჩენი მიწისზედა სართულების სიმაღლე შეადგენს 3,20მ. ბოლო არასრული სართულის სიმაღლე შეადგენს 2,66მ. კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა რვასართულიანია.

კონსტრუქციული სქემის მიხედვით ნაგებობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, ხისტი კვანძებით. შენობის სვეტების ბიჯი გრძივი მიმართულებით შეადგენს: 3,40მ; 6,20მ; 5,80მ; განივი მიმართულებით შეადგენს: 5,90მ; 4,90მ 2,60 და 2,55მეტრს;

ნაგებობების მზიდი კონსტრუქციები კორექტირებული სქემის გათვალისწინებით გადაანგარიშებულია პროგრამული კომპლექსის „Lira-9.6“-ის საშუალებით.

სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს 85კგ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა 50კგ/მ^2.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე საძირკვლების ფუძედ მიღებულია თიხნარი გრუნტი, საანგარიშო წინაღობით კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_0=2,20კგძ/სმ^2.

ზემოთაღნიშნული საპროექტო სახლი მშენებარეა, დღევანდელი მდგომარეობით აშენებულია ორი მიწისქვეშა და ხუთი მიწისზედა სართულის მონოლითური რკ/ბეტონის კარკასი; კარკასი ნაწილობრივ შევსებულია მცირეგაბარიტიანი ბლოკების წყობით.

არსებული საძირკვლები შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 90სმ. ნიწისქვეშა სართულების გარე კედლები მონოლითური რკ/ბეტონისაა, სისქით 35-40სმ.

საპროეტო ტერიტორიას (მშენებარე ობიექტს):

ჩრდილოეთის მხრიდან: ესაზღვრება სიმონ ჩიქოვანის ქუჩა, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია.



<u>სამხრეთის მხრიდან:</u> ესაზღვრება ს. ჩიქოვანის ქ. №14-ში მდებარე მომიჯნავე მიწის ნაკვეთის № 01.14.14.008.026 შიდა გზა, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია.
<u>აღმოსავლეთის მხრიდან:</u> ესაზღვრება ჩიქოვანის ქ. №14-ში მდებარე მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე № 01.14.14.008.010 არსებული ორსართულიანი შენობები №1/2 და №2/2, კონსტრუქციული სქემის მიხედვით კომპლექსური წყობების ტიპის.
<u>დასავლეთის მხრიდან</u>: ესაზღვრება ჩიქოვანის ქ. №16ბ-ში მდებარე მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე № 01.14.14.008.018 არსებული ორსართულიანი შენობა №1/2 კონსტრუქციული სქემის მიხედვით კომპლექსური წყობების ტიპის. მისი ქვედა სართული ნახევარსარდაფის ტიპისაა.

დასავლეთის მხარეს, ს. ჩიქოვანის ქ. №16ბ-ში მდებარე მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე № 01.14.14.008.018 არსებული ორსართულიანი შენობა №1/2-ის გასწვრივ მოწყობილია ბურღვით დანატენი ხიმინჯების (დიამეტრით 30სმ) ფარდა, ბიჯით 60სმ (სულ 28 ცალი) ხიმინჯების ძირი ჩაღრმავებულია ფილის ძირიდან 4,0 მეტრით რაც გამორიცხავს მშენებარე შენობის საძირკვლის ფილიდან ძაბვების გადაცემას მომიჯნავე შენობაზე. საძირკვლის ფილის ზემოთ, მიწისქვეშა სართულებში მოწყობილია მონოლითური რკ/ბეტონის კედლები: ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს. აღმოსავლეთის მხარეს, ჩიქოვანის ქ. №14-ში მდებარე მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე № 01.14.14.008.010 არსებული ორსართულიანი შენობების №1/2 და №2/2, საძირკვლები ჩაღრმავებულია მშენებარე შენობის ძირის ნიშნულამდე, ხოლო მშენებარე შენობასა და მომიჯნავე შენობებს შორის მდებარეობს მონოლითური რკ/ბეტონის კედელი.

მშენებარე ობიექტის ადრე შეთანხმაბული პროექტთან მიმართებაში, ახალ პროექტში ცვლილებით, გათვალისწინებულია: მე-6 არასრულ სართულზე (16.60 ნიშნულზე) სართულის ფართის მცირედით გაზრდა ჩრდილოეთის (ს. ჩიქოვანის ქუჩის მხარეს) და ახალი, მე-7 სართულის მოწყობა არასრულ ფართზე, შენობის ცენტრალურ ნაწილში, 19.26 ნიშნულზე (K-2 კოეფიციენტის სრულად ათვისების მიზნით) აღნიშნული ცვლილებებით გათვალისწინებული სამუშაოები მცირედით ზრდის შენობის საძირკვლებზე მოსულ დატვირთვებს, ძირითადად ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში, განაპირა მხარეებში, უკვე მშენებლობის პროცესში გათვალისწინებულია და შესრულებულია ის ზემოთაღნიშნული ღონისძიებები, რაც გამორიცხავს მშენებარე შენობის საძირკვლის ფილიდან ძაბვების გადაცემას მომიჯნავე შენობებზე.

ნაგებობების მზიდი კონსტრუქციები კორექტირებული სქემის გათვალისწინებით გადაანგარიშებულია პროგრამული კომპლექსის „Lira-9.6“-ის საშუალებით.

<u>დასკვნა:</u>

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“ ადგენს, რომ ქალაქ თბილისში, სექტორი-ვაკე, ქუჩა ჩიქოვანი, №16ა / ქალაქი თბილისი, ქუჩა ჩიქოვანი, №16ა-ს მიმდებარედ, შ.პ.ს. „ჩიკო“-ს (ID 404894655) საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.14.14.008.029 მდებარე, მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები, ნაგებობის მშენებლობისა და მისი შემდგომი ექსპლუატაციის პროცესში არ გამოიწვევს მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების არსებული ტექნიკური მდგომარეობის გაუარესებას.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი–კონსტრუქტორი: /ვახტანგ ჯაფარიძე/





ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბაზისი XXI
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გამზირი 63ა
საიდენტიფიკაციო კოდი:	202235296
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	12/12/2003
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2/4-3679
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე, გენერალური დირექტორი, ,
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე, , , აღმასრულებელი დირექტორი

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001003423, იოსებ ცერცვაძე,	100.00000000%	202235296-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

დიპლომი

წარჩინებით

ИВ № 257304

ეს დიპლომი მიეცა ...

მასზე, რომ იგი ... 1980 წელს შევიდა ...

და 1985 წელს დაამთავრა ...

სრული კურსი სპეციალობით ... და მიენიჭა კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ქალაქი ... 1985 წ. 29 « 05 »

1276

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257304

Настоящий диплом выдан ...

в том, что он ... в 1980 году поступил ...

и в 1985 году окончил ... полный курс ...

по специальности ...

Решением Государственной экзаменационной комиссии от ... 1985 г. присвоена квалификация ...

Председатель Государственной экзаменационной комиссии

М. П.

Город ... 29 « 05 » 1985 г.

Регистрационный № 1276





ინფორმაცია საპროექტო და საექსპერტო სამუშაოთა შესახებ

მე, ვახტანგ ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. „თბილქალაქ-პროექტ“-ში; 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას. 2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს ქ. №7-7ა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთევან წამებულის გამზ. №15-17;
- მიწისძვრისაგან დაზიანებული, ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გამაგრების პროექტი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში;
- 10 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ღვინის ქარხანა ყვარელის რ/ნ, სოფელ შილდაში;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. №31;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შატბერაშვილის ქ. №7 და შატბერაშვილის ქ. №9;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარუხის გმირების ქ. №11;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ვ. ივერიელის ქ. №32 / საბადურის ქ. №32-32ა, №34;
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:

- ქ. თბილისში, გ. ტაბიძის ქ. / ლ. ასათიანის ქ. №23/23-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გაძლიერების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, იოსებიძის ქუჩა №49 (ნაკვ. №17/1) / ქუთათელის (ყოფ. შჩორსის) ქუჩა №3, შ.პ.ს. „ფასადი“-ს საოფისე შენობის რეკონსტრუქცია-დაშენებით პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, სოფელ სართიჭალასა და სოფელ სააკაძეში, შ.პ.ს. „ჩირინა“-ს მეფრინველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, მდებარე შენობების საერთო მდგრადობისა და ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ.
- ქ. თბილისში, სოფელ დიდომში, შ.პ.ს. „ვილასტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა № 129-ში, ი.ბ.ა. „ნუცუბიძე 2014“-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შავიშვილის ქ. №1 / ქავთარაძის ქ. №19, შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დელისი III ქუჩის მიმდებარედ / ქ. თბილისი, ქუჩა დელისი-3, მიმდებარედ (ნაკვეთი 01/196) შ.პ.ს. „ინტერსტანდარტ ჯორჯია“-ს მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა № 6-ში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ“-ის ავტოგასამართი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, №20/ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე-3 ქუჩა №17/ ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება I ქუჩა №22, ე.ს. ამხანაგობა „იმედი 2015“-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი“-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
- ქ. რუსთავში, სექტორი-ჟ. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალვუს დეველოპმენტი“-ს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის გენერალური
დირექტორი:

/ი. ცერცვაძე/

შეთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

შეთავაზებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი
ფირმის დასახელება	„ბაზისი XXI“
გვარი, სახელი	ჯაფარიძე ვახტანგ
პირადი №	01005021796
დაბადების თარიღი	10. 06. 1963
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20
ელ.ფოსტა	bazisi_xxi@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონი	595 27 21 27
პროფესია	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი
საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	30 წელი
ექსპერტად მუშაობის სტაჟი	16 წელი
მოვალეობის დეტალურად აღწერა	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება- დაპროექტება
განათლება 1980-1985წწ	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი
ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე	შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი“-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის მთავარი კონსტრუქტორი
დაპროექტებული ობიექტები 1985-2016წწ	მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები
თარიღი	06. 06. 2017წ.

ენები	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება

მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი   ვ.ჯ.   ვახტანგ ჯაფარიძე

საქართველო. შპს "ბაზისი XXI" * GEORGIA. "BAZISI XXI" LTD * 202235296